№ 41

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 41

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ

ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

**შულცე-ზენკოვსკისას.**

ღიაა ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში

**საანატომიო განყოფილება**

ქალებისთვის მხოლოდ პარასკეობით არის ღია.

ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდესისა და მოსკოვისა

მუზეუმში 1000 ახალი სხვა-და-სხვა რამ არის გამოფენილი

შესვლა ღირს 20 კაპ.

5—45—3)

**ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საზოგადო მორიგი კრება ამა საზოგადოების წევრთა დანიშნულია კვირას, 8 მარტს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში 1897 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება წლიურ ანგარიშის შესახებ.

4) ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა.

5) შეცვლა და შევსება წესდების მე-17 და 24 §§-ისა,

და 6) არჩევანი ერთის დირექტორისა, თავ. ვ. ს. მიქელაძის მაგივრად, რომელიც რიგისამებრ ანებებს სამსახურს თავს; საბჭოს ორის წევრისა, რომელნიც წილის ყრით ანებებენ სამსახურს თავსა, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. (2—6.—1)

**მევენახეთა საყურადღებოდ**

მივიღეთ საზღვარ-გარეთიდგან გაზის სამყნობი „Kunde“-ს ქარხნის ახალი დანები. ეს დანები მოიწონა საქარის ამერიკულის ვაზის სანერგეს გამგეობამ. მსურველ უნდა მიჰმართონ სტეფანე პავლეს ძის ფეიქრიშვილის მაღაზიას ქუთაისში.

თითო დანა ღირს ერთი მანეთი და ცხრა შაური.

ვინც ათს ცალზედ მეტს დაიბარებს ნაკლებ ფასად დაეთმობა. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ ფოსტით ფას-დადებით.

(5—6.—4)

## ვაუწყებ

პატივცემულს საზოგადოებას, რომ 1898 წლის იანვრიდგან სპირიდონ ჭელიძე ჩემთან აღარ არის ამხანაგათ; სავაჭრო საქმეები ყოველივე მე მაქვს ნაკისრი და სპირიდონ ჭელიძეს აღარავითარი უფლება არა აქვს გაერიოს არც ჩემს სავაჭრო საქმეების წარმოებაში და არც საამხანაგო გაცემულ-შემოსულ ნისიებში.

ჩემი ადრესი: Тифлисъ. Георгіевская, (противъ Александровскаго сада), Книжная торговля І. З. Имедашвили.

(3—1) იოსებ იმედაშვილი

**ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 4 მარტს, ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.

2. არჩევანი ამხანაგობის თავ-ჯ მჯდომარისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

რადგანაც პირველი კრება არ შესდგა, ეს კრება კანონიერი იქმნება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვისა.

არა წევრთ კრებაზედ დასწრება აეკრძალებათ. ამხანაგობის წევრთ კერძო ბარათები არ გაეგზავნებათ.

(3—6.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

**† გენერალ-ლეიტენანტი თავადი გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე**

(ნეკროლოგი)

2 თებერვალს, სოხუმში გარდაიცვალა მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ა. შერვაშიძე. განსვენებული აფხაზეთის მთავართა შთამომავალი იყო და გარდაცვალების ჟამს 90 წლისა იქმნებოდა. თავადმა შერვაშიძემ სამხედრო სამსახური 20 წლისამ დაიწყო და მას აქეთ მთელი თავისი დღენი უმეტეს-ნაწილად ბრძოლის ველზედ გაატარა. აფხაზეთში არც ერთი ომი უიმისოდ არ გარდახდილა. ადგილობრივის ენების და ადგილ-მდებარეობის კარგად მცოდნემ თავადმა შერვაშიძემ დიდი ღვაწლი გაუწია რუსეთის ჯარს, რომელსაც მუდამ წინ მიუძღოდა და გზას უკვლევდა განსვენებული ცნობილი იყო მამაც და გამბედავ მეომრად. იმისი ვაჟკაცობას ამხანაგებიც-კი განცვიფრებაში მოჰყავდა. მთიულებთან ომების დროს მრავალი ბრძოლა მხოლოდ თავადის შერვაშიძის წყალობით იქმნა მოგებული. მთავრობამ პირველადვე მიაქცია ყურადღება იმის ვაჟკაცობას და სამსახურში წარჩინებულ ჰყო. განსვენებულს მრავალი ორდენი ჰქონდა მიღებული. უკანასკნელად განსვენებული დაჯილდოვებულ იქმნა 1877 წელს ოსმალეთთან ომის დროს წმ. ვლადიმერის ორდენით. ყველა იმ ომისა და ბრძოლის ჩამოთვლა, რომლებშიაც განსვენებულმა მონაწილეობა მიიღო, თითქმის შეუძლებელია.

განსვენებულის შვილი და შვილის-შვილები 40 სულზედ მეტი იქმნება. თავის მემკვიდრეებს ერთი მილიონი შეძლება დაუტოვა. 5 თებერვალს განსვენებულის გვამი სოხუმიდგან სოფელ აშარში წაასვენეს საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად.

### მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა 1898 წლის 3 თებერვალს კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. ანნა მესამე ხარისხისა და საჯილდოვებლად გულმოდგინე და უნაკლულო სამსახურისათვის ამიერ-კავკასიაში ათის წლის განმავლობაში იმ თანამდებობებში, რომელნიც დასახელებულია სამოქალაქო კან. პირველის ტომის ორდენთა დაწესებულების მე—459 მუხლის მე—4 პუნქტში, ნადვორნი სოვეტნიკებს: ბოქაულებს ქუთაისის მაზრის ტყიბულის ნაწილისა მაქსიმე აბულაძეს, ტფილისის გუბერ. ახალციხის მაზ. ურავლის ნაწილისა ილია გამრეკელს და ერევნის გუბ. გუმბრის მაზრისა გიორგი ლოლობერიძეს; 12 წლის განმავლობაში

## ფელეტონი

**დ ღ ე ო ბ ა**

(მოთხრობა)

(დასასრული *)

**IV**

წუთისოფლის სიზმარივით გაირბინა მარტმაც, აპრილმაც, მაისმაც, თიბათვემაც და მკათათვემაც, მაგრამ სოსიას გულში მერცხალას დაკარგვის სევდა-ნაღველი კლების ნაცვლად უფრო ჰმატულობდა და ძლიერდებოდა დღითი-დღე. მარად დღე და ღამ და თითქმის ყოველ წამ-წუთში: ეძინა, ეღვიძა, იჯდა, იდგა, ჰმუშაობდა თუ პურსა სჭამდა—სულ ამას გაიძახოდა სოსია მწარე ოხვრა-გმინვით: „ვაიმე, ჩემო მერცხალავ!..“ მეტადრე მაშინ უძლიერდებოდა სოსიას მერცხალას დაკარგვის სევდა-ნაღველი, როდესაც ჰხედავდა მეზობლის ვირები ტყეში მაღალ მევირეების წყალობით სანახევროდ შეშაფიჩხს ეზიდებოდნენ, დაფქული და დასაფქვავი მოჰქონდათ, და სოსიაკი თავისის ზურგით ეზიდებოდა ოფლის ღვრით ახლო-მახლო გაკაფულ კუწმაწიან ტყეებიდგან ჯაგმაგსაც თონისათვის, დაგლეჯილ ხუნჩებსაც, დაფქულსაც და დასაფქვავსაც.

იმ ღამეს კიდევ ხომ სულაც აღარ ეძინა სოსიას და მწარე ოხვრა-გმინვით ათენებდა, რომელს დღესაც-კი თვალს მოჰკრავდა თავისს მერცხალას, რომელიც ხშირად საწვრილმანოთი დატვირთული კოხტა-გამალებულის იორღით მოცუხცუხებდა და მოლივლივებდა წანწკარა ჩიტივით სიღნაღიდგან კარაპეტას დუქნისაკენ. დაინახავდა თუ არა მერცხალას თავის ნაპატრონალი სოსია გზის პირას მდგომარე, გულ-მწუხარე დაყვირებით მიცუხცუხდებოდა სოსიასთან და თითქოს ტირის და თან ემუდარება, რად გამყიდეო, ისეთის სლუყ-სლუყით უხახუნებდა თავს რაღაც ალერსიანის სიყვარულით თავის აღმზრდელ სოსიას, რომელიც მოჰხვევდა ხოლმე ორსავ ხელებს კისერზედ გიშერივით შავად დაბწკვინებულს მერცხალას და ჰკოცნიდა ნიშა შუბლზედ ცრემლ-მორეულის თვალებით და გაზეპირებულის „ვაიმე, ჩემო მერცხალო“-ს მოთქმა-ოხვრით. ამ სანახაობის მოხილვებით კარაპეტას ბიჭი სამასხარო სიცილ-ხარხარს ასტეხდა ხოლმე ერთის ყოფით, მერე სოსიას უსაყვედურებდა დარცხვენით: „რამ გაგაგიჟა, კაცი არა ხარ, ვირს როგორ ჰკოცნიო“, და ბოლოს გაბრაზებული მერცხალას წაუშენდა ხოლმე ბალღოჯის წითელ ჯოხს და მრისხანე ლანძღვა-გინებით და ცემატყეპით მიარბენინებდა თავისს გზაზედ. კბილებ აკრაჭუნებული სოსიაკი გულ-გამეხებით უყვიროდა უკანიდგან: „ნუ სცემ, ბიჭო! შე მ—ძაღლო!..“ და თან ცრემლები სინანულისა ჩამოსდიოდა თვალებიდგან ღაპა-ღუპით.

სოსიას ცოლმა მარიამმაც დიდი ხანია იგრძნო მერცხალა ვირის დაკარგვის გამო ბევრგვარი გაჭირვება და დანაკლისი, დიდად ებრალებოდა დატანჯული ქმარი, რომელიც ყველას ზურგით ეზიდებოდა და ამასთანავე მეტის-მეტად იტანჯებოდა მერცხალას დაკარგვის სევდა-ნაღვლით, რის გამოც მარიამიც ძალზე ნაღვლობდა და ხშირად ტიროდა და იმდუღრებოდა კიდეც მალვით თუ ცხადივ.

მედუქნე კარაპეტა, რომელიც სოსიას მახლობლად სცხოვრობდა მეფურის განცხრომით თავისის ცოლშვილით თავისსავე საკუთარ, მშვენიერ ორ-სართულიან ქვითკირის სახლში და რომელმაც სოსიას ვირი იყიდა თუმნად, აღარ აყიდებდა უკანვე სოსიას თავისეულ მერცხალა ვირს, თუმცა სამკალშიაღებულ 15 მანეთის სულადს აძლევდა და ბევრსაც ეხვეწებოდნენ ცოლ-ქმარნი. მარიამი ურჩევდა სოსიას: სხვა ვირი ვიყიდოთო, მაგრამ სოსია ჯიუტობდა: ბოლმით მოვკვდები და გავთავდები, თუ შვილივით გაზრდილი მერცხალა უკანვე არ დავიბრუნე როგორმეო. იმდენს ეხვეწნენ, ევედრნენ და ემუდარნენ ცოლ-ქმარნი კარაპეტას და იმისს ჯალაბს ოსანას, რომ ბოლოს დაითანხმეს როგორც იყო კარაპეტა ასეთის პირობით: თხუთმეტის მანათის სულადი ამთავითვე მისცეს ნახევარ-ფასად ორ-ნიტრიანის ჩანახით, ერთს თვეს სოსიას ალაზანგაღმა ლეკში უნდა ემსახურნა კარაპეტასათვის, რომელსაც ვენახის პირები ჰქონდა ყურძნად ნაყიდი ბზის ფასად, და მერე წამოიყვანდა იქიდგანვე თავის მერცხალას, რომელსაც იქვე ქვევრების სარეცხად წყალი უნდა ეზიდნა. კარაპეტას დათანხმებით უსაზღვროდ გახარებულს სოსიას არყის ქვაბივით ნადუღი დიდის ხნის სევდა-ნაღველი უცბად გამოერწყო, ნაგუბარივით გამოეღვარა გულიდგან რამდენიმე ღრმა-ამოოხვრით გაქარწყლებული და ნახევარ წლის ძილმადა დაკარგულმა ისე მადიანად ჭამა იმ საღამოს მჭადით ჩაბუჟბუჟებული ლობიო-შეჭამანდი და ისე ტკბილად დაეძინა იმ ღამეს, რომ სამოთხეშიაც ვერ დაიძინებდა ადამიანი ისე მოსვენებით და ნეტარებით...

სექტემბრის მზიანის დღით გალაღანებულ შირაქის მთის კალთების მახლობლად, შორით-შორამდე გადაჭიმულ მინდვრიან შარა-გზაზედ კოხტა გამალებულის იორღით მოცუხცუხებდა გაღმა ლეკიდგან მერცხალა ვირი, რომელზედაც ცოცხალ მკვდარი სოსია იჯდა და ძალღონე მიხდილის ხმით ჩასჩიჩინებდა თავის მერცხალას:

— გასწი, გასწი ქმაგრე გაქანებული ლივლივით, შენი გამჩენის ჭი-

*) იხ „ივერია“ № 40.

ჯრისა და იმავე თანამდებობაში გულმოდგინე და უნაკლულო სამსახურის ჯილდოდ: სტატსკი სოვეტნიკებს: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს ივანე გაფრინდაშვილს, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ ტფილისისას ანტონ ნატროშვილს და კავკავისას—ნესტორ ფხაკაძეს, სენაკის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კოლეჟსკი სოვეტნიკს თავ. გიორგი ნაკაშიძეს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუს ალექსანდრე წულუკიძეს; ოზურგეთის მომრიგებელ-სასამართლოს ბოქაულად ნამყოფს სამსონ ქაჩაიას; ტფილისის სამოსამართლო პალატის თარჯიმანს გუბერნსკი სეკრეტარს ისიდორე არდაზიანს.

---

# ახალი ამბავი

—

• ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა საბანკო საქმეებისა გამო ჰგზავნის ქ. პეტერბურგში მმართველობის წევრს ქ. ი. მამაცაშვილს. ბ-ნს მამაცაშვილს თან მიაქვს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი წარმომადგენლობით კრებათა გამართვის შესახებ სადაც ჯერ არს წარსადგენად.

• გუშინ, 24 თებერვალს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ თუმცა თანავუგრძნობთ ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეს, მაგრამ ბანკის მოგებიდგან ვერაფერს გადავდებთ პოლიტეხნიკუმისათვის, ვინაიდგან ბანკის წესდების ძალით ფულის გადადების უფლება საზოგადო და სასარგებლო რამ საქმისათვის ეკუთვნის ბანკის წევრთა საზოგადო კრებას და ამიტომ ბანკის მმართველობა თქვენს თხოვნას საზოგადო კრებას გარდასცემსო.

• გუშინ, 24 თებერვალს, კიევის ქალაქის გამგეობამ, შეატყობინა პასუხად ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ კიევში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე შემდეგის წესრიგით სწარმოებს. ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ხრიაკოვის მიერ დიდის ხნიდგან შეგროვილი იყო 75,000 მან. ამ ქალაქში ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობაზედ სატეხნიკო სასწავლებლის დაარსებისათვის. ხოლო რადგანაც საჭიროება მოითხოვდა კიევში პოლიტეხნიკუმის დაარსებას, ქალაქის მოურავმა მიჰმართა მთელს კიევის გუბერნიაში ფულის პატრონებს და დახმარება სთხოვა, მაგრამ იმათგან არავითარი პასუხი არ მიუღია. მაშინ მოურავმა ამავე თხოვნით მიჰმართა ფულის პატრონ ებრაელებს ლაზარე და ლეო ბროდსკის, რომელთაც თავისი შემწეობა აღუთქვეს. დაარსდა კომიტეტი, რომლის წევრებად იყვნენ მდიდარი ებრაელნი, უნივერსიტეტის პროფესორები და მრავალნი სხვანი. კომიტეტმა შესაფერის თხოვნით მიჰმართა ფინანსთა მინისტრს და მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორის თანხმობით დააარსა კომიტეტი გენერალ-გუბერნატორის გრაფის იგნატიევის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტმა შეაგროვა ფული 700,000 მანათამდე და ქალაქის გამგეობამ კიდევ გადასდო ამ საქმისათვის 300,000 მან. ამ გვარად კომიტეტს ამ ჟამადა აქვს ერთ მილიონ მანათზედ მეტი ფული და, ამას გარდა, კიდევ გროვდება შემოწირულებანიო.

• გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობას მოუვიდა წერილი ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა საბჭოსაგან, რომ საბჭო თანაუგრძნობს ტფილისში პოლიტეხნიკუმის საქმის დაარსებას და მალე განიხილავს, თუ რა შემწეობის აღმოჩენა შეუძლიან ამ პოლიტეხნიკუმისათვის.

• გუშინ, 24 თებერვალს, ადმინისტრაციამ ტფილისიდგან გაჰგზავნა თავიანთ სამშობლოში ქნარის დამკვრელი ქალები, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ.

• ტფილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა პ. ო. ოპოჩინინმა წარუდგინა მთავარ-მართებელს ამ თეატრის წლიური ანგარი 1896 წლის პირველ სექტემბრიდგან 1897 წლის პირველ სექტემბრამდე. მთავარ-მართებლის ბრძანებით, ამ ანგარიშის სარევიზიოდ შესდგა ცალკე კომისია, რომლის თავმჯდომარედაც მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი პრიბილი იქმნა დანიშნული. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს ამ წლის სრული შემოსავალი სუბსიდიითურთ 180 ათას მან. ყოფილა.

• მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აქამდის აბრეშუმის ჰიას რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში მცხოვრებელთათვის დასარიგებლად ტფილისის სააბრეშუმო სადგურიდგან იწერ ა, ხოლო ეხლა მიუმართავს აბრეშუმის თესლის ვაჭრის გრაფ პუჩჩისთვის, რომელიც იტალიის ქალაქ პერუჯაში სცხოვრობს. ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ სამინისტროს მიერ კავკასიის სააბრეშუმო სადგურიდგან 1896 წ. გამოწერილი თესლი გაფუჭებული გამოდგა.

• ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თამდებობის აღმსრულებელმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ნება მიეცეს მოიწვიოს ამ მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიაში საეროზო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად.

• „ქუთაისის საგუბერნიო უწყებათა" 21 თებერვალის ნომერში სწერია: „ამ ჟამად ქუთაისს, თოფურიას საავადმყოფოში იმყოფება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი".

• გაზეთების სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია ოფიციალურად მეტრიული წონა და ზომა შემოიღოს.

• გაზ. „ახ. მიმ." დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ტფილისის საუფლისწულო სარდაფის მმართველად გოგოლ-იანოვსკი იქმნა დანიშნულიო.

• იგივე გაზეთი სწერს, რომ ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ შუამავლად კურინის რაზმის აფიცერს თავ. სუმბათაშვილს ჰნიშნავენო.

• გაზ. „კავკაზ" სწერენ პეტერბურგიდგან, რომ თავადად ნამყოფი ნაპოლეონ ამატუნი, რომელმაც საკრედიტო საზოგადოების ფული გაჰფლანგა და რომელსაც სამოსამართლო პალატამ ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა, სენატის მიერ ამ განაჩენის დამტკიცების შემდეგ საზღვარ-გარეთ წავიდაო.

• გაზ. „ახ. მიმ." სწერს, რომ ამ ჟამად რუსულ ენაზედ სთარგმნიან იტალიანურიდგან დ. მ. როსსინსკის რედაქციით გრ. რ. პ. ბონ კამბის თხზულებას „დარიგებანი ყაჭის ჰიის მიმდევართათვის". წიგნი ავტორის ხარჯით იქმნება გამოცემული და კავკასიის მეაბრეშუმეთ მუქთად დაურიგდებათო. კარგი იქმნებოდა, წიგნი ქართულადაც ეთარგმნათ და ხალხში გაევრცელებინათ.

• გაზ. „ახ. მიმ." დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდგან, რომ ბათუმის საბჭომ დაადგინა სრული თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეში და მუდამ წელს 2,000 მან. აძლიოს ათ მილიონ მცხოვრებლებისათვის დაარსებულს ერთად-ერთს უმაღლესს სასწავლებელს.

• სოფ. წიფერჩი (ლეჩხუმის მაზრა). დიდი დავიდარაბა გამოიწვია იმან, თუ რა ადგილას უნდა აშენებულიყო ეკკლესია. ყოველ უბნის მცხოვრებელს თავისს მახლობლად უნდოდა და ბოლოს როგორც იყო გადასწყვიტეს და კიდეც ააშენეს ეკკლესია ზედა-წიფერჩის მახლობლად. ამას გარდა, ჩვენი სოფელი ძლიერა ჰკოჭლობს სწავლა-განათლების მხრივ. თუმცა მთავრობამ დაგვიარსა სამრევლო სასწავლებელი, მაგრამ სიმართლე უნ და მოგახსენოთ, რომ ვერაფრადაა მოწყობილი სკოლის საქმე. ოთხი წელიწადია, რაც აქ სასწავლებელი არსებობს, საზოგადოება მზად არის შენობა აავოს სასწავლებლისთვის, მაგრამ დღემდის რაღაცა ჯადოქრობით ქირით დაჭერილ სახლშია მოთავსებული სასწავლებელი. ორი წელიწადია, რაც განსაკუთრებული კომიტეტი დაარსდა, რომელსაც შენობის აგებისთვის უნდა ეზრუნა. სწორედ საკვირველია ამ კომიტეტის საქმე, ნეტა რას ჰფიქრობს და რატომ არ ასრულებს დღემდის თავისს მოვალეობას.

• ყარსი. 12 თებერვალს აქაურ კლუბის დარბაზში გაიმართა ქართული სალამო. წარმოადგინეს პირველი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან „რაც გინახავს ვეღარ ჰნახავ" და ვ. გუნიას „ხოლერობა". წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა კიკნაძემ, ზედგინიძისამ და ბ-ნთ მაქსიმიძემ, თაზიაშვილმა, ნათიშვილმა და სხვ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც დილის 5 საათამდე გასტანა. კლუბის დარბაზი ხალხით სავსე იყო. წმინდა შემოსავალი 200 მანათამდე უნდა დარჩეს. სალამოს გამგედ იყო ბ-ნი დ. კიკნაძე.

• **სამეგრელო.** ამას წინად ჩვენში ერთი არა ჩვეულებრივი და სარომანო ამბავი მოხდა. აქ ერთს სოფელში სცხოვრობს ერთი აზნაური, რომელსაც ერთად-ერთი მშვენიერი და მეტის-მეტად ლამაზი ქალი-შვილი ჰყოლია. ამ ლამაზს ქალს მრავალის ახალგაზრდა ყმაწვილის კაცის გული აუტოკებია, მაგრამ მშობლები-კი ამ ქალისთვის კარგს საქმროს ეძებდნენ თურმე. თუმცა-და მრავალი გამოჩნდა ამ ქალის მთხოვნელი, მაგრამ დედმამა უარს იყვნენ სხვა და-სხვა მიზეზის გამო. სხვათა შორის ამ ქალის გული მოუგია ამავე სოფლის მცხოვრებს მეორე აზნაურს. ქალსა და ყმაწვილს ერთმანეთში პირობა მიუციათ შეუღლებისა, ეს ამბავი საზოგადოდ დამალულ-დაფარული ყოფილა და არც ქალის დედ-მამას შეუტყვიათ. ამ-ნარის უკანასკნელ რიცხვებში ყმაწვილმა კაცმა იშოვა ამქრები და ქალი მოიტაცა, თავისს სახლში წაიყვანა. რა-კი მამამ გაიგო ეს ამბავი, ისე გადაირია, რომ არ იცოდა რა ექმნა. თავი მოეკლა, თუ ცოცხალი დარჩენილიყო. მაშინვე გამოვარდა თურმე სახლიდგან, მოჯამაგირეს დაუძახა და უთხრა: „ეხლავე ბარ-თოხი წამოიღე და უკან გამომყევი"-ო. მოჯამაგირეს ბატონის ბრძანება აუსრულებია. ბატონს მოჯამაგირე მიუყვანია ეკკლესიაში და სასაფლაოს

---

რიმე, შენი, ელვასავით სწრაფო მერცხალავ! ერთი შინამდის მიმიყვანე ჩქარა, ჩქარა, რო კიდე თვალით დავინახო ჩემი საყვარელი ცოლ-შვილი და მერე თუნდა მაშინვე მოვკვდე, ფიქრი აღარ-ალი!

მერცხალას თითქოს ესმოდა სიკვდილის პირად მისულ ავადმყოფ-პატრონის ვედრება მდგომარეობა და მართლაც, უფრო მეტად გამაღლებულის იორლა ზლუყზლუყით მოგუგუნებდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. აგერ, მოუახლოვდა სოსია ენა-მთის კალთებსაც, ციავ-ცხელების ანთება უფრო მეტად გაუძლიერდა, უკანასკნელი ძალ ღონეც გამოელია დადამბლავდა, გულმა პარება დაუწყო, თვალთა-შავდებოდა და სახე ეპრანჭებოდა უცნაურად ათრთოლებულ აჟრჟოლებულს. სოსიამ საჩქაროდ გადაუხვია შარაგზას, მივიდა მინდორზედ დადგმულს ერთს სათივის ძირში, ჩამოებობღა ვირიდგან ცოცხალ-მკვდარი რის ვაი-ვაგლახით და ძაღლუმადლოდ მიეგდო მაშინვე სათივის ძირში გულ-წასული.

სოსია ქვევრების რეცხვაში გაცივდა პირველს დღესვე, ციავ-ცხელება დააწყებინა, უწამლობა-უპატრონობამ ავადმყოფობა ერთი ასად გაუძლიერა, ლეკის ჭაობიანმა ადგილების ამყრალებულმა ჰაერმა, ბლანტე-ვაგლახმა წყალმა და დამპალ-დუმპალ ხილეულობის ჭამამ უფრო უარესი დღე დააყენა და, ისეც გატეხილი კაცი, ზეზეურ ჩამოდნა, ჩამოყვითლდა, თვალები სადღაც ჯურღმულში ჩასცვივდა, ძვალ-ტყავად იქცე და სამარიდგან ამოღებულს ჩონჩხს დაემსგავსა. ბევრს ურჩევდნენ მუშები: წადი შინ, აქ უპატრონობით არ მოჰკვდეო, მაგრამ სოსია ჯიუტობდა. ერთს დღეს რომ გამოუნელებელის სიცხით მკვდარივით ეგდო უპატრონოდ და მოუვლელად, მეორე დღეს ძალის-ძალად დაღოღავდა ფეხზედ ცოცხალ-მკვდარი და კარაპეტას ყურძნად ნასყიდ ვენახებს ჰყალაურობდა იმ სანეტარო იმედით, რომ მალე ჩემს ყავლს შევასრულებ, მოვაჯდები ჩემს მერცხალას და გავწევ ჩემს საყვარელ ცოლ-შვილისკენ გახარებულიო. მაგრამ აგერ მზე ჩაესვენა კიდეც ჭუეთის მთას იქით, ცა ღრუბლიანი მარგალიტსა სცრიდა ჟუჟუნით და სოსია კი ისევ იმ სათივის ძირში ეგდო ჩითის ახალოხში საცოდავად მოკრუნჩხული, გულ-შემოყრილი, უგონოდ, ძაღლუმადლოდ და მისი სიცოცხლე ჩამავალ მზის სხივივით და სანთლის ნამწვავივით ჰქრებოდა ოპატრონოდ. დამბადებელო ღმერთო მაღალო! ვინ იცის, გათენებამდის რა დაემართება საბრალო სულთმობრძავს სოსიას ცას ქვეშ, ტრიალმინდორზედ უპატრონობით!.. ოხ, ზეციერო მამა-უფალო, რატო არ ისიც ცხლა ეს ამბავი საბრალო სოსიას ცოლმა მარიამმა, რომ ოც და ათის ვერსის მანძილიდგან საჩქაროდ მოიჭრას წივილ-კივილით მომაკვდავ ქმართან, ცივის წყლით მოაბრუნოს, გულში ჩაიკრას, ოფლი ადინოს და სიკვდილს პირიდამ გააგდებინოს!

გათენდა მეორე დილა და მზესხივოსანი ცილებულად ამოგოგდა ცეცხლის ბურთივით დალისტნის ლაჟვარდოსან მთიდგან. ღაღანა დილის მზის ცხოველ-მყოფელმა სხივებმა აღფრთოვანებულის სიხარულით ააჟივილ-ხივილა მთა მინდვრის ყველა სულდგმული და სოსიას კი საუკუნო ძილით დასძინებოდა: მომკვდარიყო სათივის ძირში და უპატრონობით თვალები დაუხუჭავი—დაჭყეტილი დაჰრჩენოდა, თითქოს იმ ცისკენ აჭყეტილის თვალებით დამბადებელს ამას ევედრებოდა გულ-მხურვალედ: ზეციერო გამჩენო! შენ იყავ ჩემი საბრალო დაობლებულის ცოლ-შვილის მცველმფარველიო!..

მიცვალებულ სოსიას თავის მერცხალა ვირი თავს ადგა და რომ გენახათ, დიდად გაგიოცდებოდათ ყურებ-დაცქვეტილი მერცხალა როგორ თვალებ-დაშტერებით აცქერდებოდა პატრონ-მიცვალებულს, რაღაცნაირ ტირილ-ქვითინის ხმაზედ სლუყსლუყებდა მიწაზედ ტოტის ცემით, უცნაურად ჰლმუოდა და თვალებიდგან ცრემლების მსგავსი წყალი ჩამოსდიოდა. დიაღ, თვით პირუტყვი მერცხალაც აშკარად ჰგრძნობდა პატრონის სიკვდილს და თავისებურად სტიროდა იგი მისისა და მისისავე უწყალოდ დაობლებულ ცოლშვილის სიბრალულით გულ-ამღვრებული. მთელი დღე ღამე უპატრონოდ ეგდო მიცვალებული სათივის ძირში და განუშორებლივ, უჭმელ-უსმელად თავს დაჰსლუყსლუყებდა თავისი მერცხალა ღრმადმგლოვიარე ჭირისუფალივით. სალამოს ჟამს უცაბედად მენახირე-მწყემსი მიადგა მიცვალებულს, მაშინვე გაიქცა იგი სამის ვერსის მანძილზედ მყოფს მ—ნის კალოებზედ, მოიტანეს სოსიას სოფლელებმა ურემი, დაასვენეს მიცვალებული და წაიღეს ვახშმობისას სახლისაკენ.

— ჰეეე, შენ დაილოცე, ღმერთო-უფალო, წელიწადში სუ რო ცოტა,—ათასი თუმანი ზარალი მაინც მოსდის თითო სოფელს დღეობის ტყუილ-უბრალო ხარჯისაგან. დღეობის გამოისობით ათას ურიის უსულღმერთო ვალ-ვახჩში ვვარდებით საწყალი ხალხი ერთმანეთის ჯიბრითა და წახედულობით, ვიღუპებით უიმისოთაც უანგარიშო მგელკაცებისაგან და ჩვენი საძგლე ქალმანდილოსნების ახალ-მოდნის საცმელ-სახურავებისაგან დაღუპულები

თხრა დაუწყებინებია. როცა მოჯამაგირე მორჩა საფლავის თხრას, შიგ ჩახტა თურმე სასაფლაოში და უთხრა მოჯამაგირეს: „ეხლავე მიწა მომაყარე და დამასაფლავე, ჩემთვის უკეთესია, რადგანაც სიკვდილი არ მოდის, ცოცხლად თავი დავიმარხო, მით უფრო, როდესაც ჩემი სათუთად აღზრდილი შვილი მომტაცეს, რაღად მინდა დღეის იქით სიცოცხლე“-ო. ბიჭს უთქვამს: „ბატონო! მე ვერ შევიძლებ თქვენს ცოცხლივ დამარხვას, თუ გინდ ეხლავე სული გამამთხვიონო“. ამან უფრო აღელვა თურმე იგი, ამოვარდა საფლავიდან და გამოეკიდა მოჯამაგირეს გასალახავად, მაგრამ იმან მეზობლებს უამბო ყოველივე ამბავი. საბრალო მამა ჩახტა ისევ საფლავში და თავისის ხელით დაიწყო თურმე მიწის მიყრა და თავისსავე თავის დასაფლავება. სანამ ერთ ადლამდი მიიყრიდა მიწას, მეზობლები მისცვივდნენ და ძალად ამოათრიეს საფლავიდგან.

რა-კი ჰნახა, რომ სურვილი ვერ განიხორციელა, იქ მდგომთ უთხრა თურმე: „მე წავალ სახლში, თქვენ-კი ჩემ მოსვლამდე ფეხი არ დასძრათ, თუ ჩემი პატივისცემა ოდესმე გახსოვთო.“ წასულა იგი და მოუტანია თავისის ქალიშვილის ტანისამოსი, რომელიც დარჩენია. ჩაუგდია მამას საფლავში, მიუყრია მიწა და თან ხმა-მაღლა უტირნია. როცა ქალის ტანისამოსი დაასაფლავა და თავი მოიჯერა ტირილით, დაბრუნდა თურმე სახლში და ისე მძიმედ გახდა ავად, რომ რამდენისამე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში. ყოველივე ეს ამბავი პოლიციამ გაიგო და ქალს ჩვენება ჩამოართვა. ქალმა სთქვა, რომ დიდი ხანია, რაც ამ კაცის საყვარელი მქონდა და იმიტომ წამოვყევ. თუ ჩემი მშობლები გამათხოვებენ, ამას მიმათხოვონ, თუ არა-და, თავს მოვიკლავო“...

ეს ახალგაზდანი ამ ჟამად ჯვარდაწერილები არიან.

⁂ ტფილისში ცუდის ამინდების გამო ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა 24 თებერვლიდგან ერთი ორად მეტი მუშები დააყენოს ქუჩების დასაწმენდად. აქამდე 100 მუშა სწმენდდა ქუჩებს, ეხლა 200 იქმნება.

⁂ გაზ. „კავკაზს“ სწერენ სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახიდგან, რომ ამას წინად ღვთისმშობლის ეკკლესიიდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა მოიპარეს ეკკლესიის ფული. ბოროტ-განმზრახველთ კლიტეს გასაღები შეურჩიეს და ისე გააღეს კარები, ყუთიდგან სანთლის ფული 80 მან. ამოიღეს და სადღაც გაქრნენ.

⁂ გაზ. „Касп.“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭოს ნება მიეცა გამოსცეს კვირეული გაზეთი „Нефтяное Дѣло“-ს სათაურით. პასუხის მგებელ რედაქტორად საბჭოს თავმჯდომარე პ. ო. ლუკასოვი იქმნებაო.

⁂ 22 თებერვალს მე-10 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ვერა ნოვიკაიტისმა, რომ ვიღაცამ 15 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ძვირფასი ქსოვილები მომპარაო. პოლიციამ დამნაშავედ იცნო სტეპანიდა პრომეინისა, რომელსაც ნაქურდალი აღმოაჩნდა და შეიპყრო.

⁂ 21 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, ვორონცოვის ქუჩაზედ პოლიციელმა იპოვა მიგდებული ბავშვი, რომელიც სამსახურს გარეშე მყოფმა ნიკოლოოზ კრულიკოვსკიმ აიყვანა აღსაზრდელად.

⁂ 23 თებერვალს, ღამით, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაჰქურდეს ტფილისის ვანქის ეკკლესია. ქურდები ფანჯრიდგან გადაპარულან, შეუგროვებიათ სხვა-და-სხვა ვერცხლისა და ოქროს წყალში დაფერილი საეკკლესიო ჭურჭელი, მოუხვეტიათ ძირს დაფენილი ხალიჩები და შეუმჩნევლად გაპარულან. წაუღიათ 1,000 მან. ნივთები. ქურდები პოლიციას ჯერ ვერ აღმოუჩენია.

⁂ მასწავლებელი ბ-ნი ნიკიფორე ბარაბაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას გადმოუთარგმნია რუსულიდგან ქართულ ენაზედ ბატონ პ. კორსუნსკის წიგნაკი „ვენიამინე ფრანკლინი“ (Веніаминъ Франклинъ П. Корсунскаго) და ამ ახლო ხანში დაიბეჭდება, რათა სხვამ აღარავინ გადათარგმნოსო.

## ქალაქის საბჭო.

23 თებერვალი

მორიგის საქმეების განხილვამდე თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს გარდაცვალება კავკასიის ოლქის გზათა უფროსად ნამყოფის ბოლესლავ იგნატის ძის სტაკტოვსკისა და სთხოვა საბჭოს სცეს პატივი იმის ხსენებას. ამასთანავე თავმჯდომარემ აუწყა საბჭოს, რომ განსვენებულმა სტაკტოვსკიმ ბევრი იღვაწა კერძოდ ტფილისისათვისაო. მან საბჭოს მრავალ კომისიაში მიიღო მონაწილეობა და შრომა გასწია ისეთის საგნების განხილვის დროს, როგორიც არის განათება, ქუჩების მოწყობა და მრავალი სხვაო. საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივი სცა სტაკტოვსკის ხსენებას.

შემდეგ უნდა განხილულიყო გამგეობის მოხსენება ქალაქის ქუჩების საუკეთესოდ მოწყობის შესახებ.

თავმჯდომარე რადგანაც ეს საგანი მეტად რთული და საყურადღებოა, ზოგიერთმა ხმოსნებმა კერძოდ მთხოვეს, რომ იმის განხილვა შემდეგისათვის იქმნეს გადადებული, ხოლო მანამდის ხმოსანთა კერძო მოლაპარაკება მოხდესო, რომ უფრო კარგად მოვემზადოთ და შევისწავლოთ საგანიო. თუ საბჭო ამ წინადადებას მიიღებს, დღეს სხვა საგნების განხილვას შევუდგეთ.

ხმ. ხუდადოვი. თუ ჩვენ ეგრე ყოველთვის გადავდეთ ხოლმე, მაგის განხილვას ვერაოდეს ვერ მოვესწრებით, ჩვენი ქუჩები-კი ისეთი ტალახითა და უწმინდურებით სავსეა, რომ დროა ყურადღება მავაქციოთ. დრო საკმარისი გვქონდა, უკვე შევისწავლეთ ეგ საგანი.

ხმ. თაიროვი. ეგ საგანი მეტად საყურადღებოა. თქმა არ უნდა, გამგეობის მოხსენებაში ბევრი რამ იქნება გამოტოვებული. ამიტომ უმჯობესია გადავდოთ, რომ უკეთ შევისწავლოთ.

ხმ. ა. ბ. ეკნგულოვი. ეგ საგანი დღესვე უნდა განვიხილოთ. ზოგიერთს ხმოსნებს იმიტომ-კი არა ჰსურს მაგისი გადადება, რომ შეისწავლონ, არამედ იმიტომ, რომ ამ საგნის გადაწყვეტა გაახიანონ.

ხმ. თავ. ბ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. საჭიროა გადაიდოს მაგ საგნის განხილვა.

ხმ. ალიბეგოვი. მართალია, ეგ საგანი მეტად საყურადღებოა, მაგრამ მაგის გადადებით არარაფერი მოგვემატება. რაც უკვე ვიცით, იმაზედ მეტს ვეღარას შევისწავლით. საჭიროა ეხლავე განვიხილოთ. რამდენიმე თვეა, რაც ეგ საგანი გამგეობამ წარმოადგინა.

ხმ დოლუხანოვი. ქუჩების განკარგების შესახებ 1877 წელს ვრცელი მოხსენება იქმნა შედგენილი. საჭიროა ის მოხსენება გავიცნოთ. ამიტომ დღეს ამ საგნის განხილვა გადავდოთ.

საბჭომ დაადგინა გადასდოს ამ საგნის განხილვა, ვიდრე კერძო მოლაპარაკებას მოახდენდეს (ამ რიგად ამ საგნის განხილვა მესამედ გადაიდო).

შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ წაიკითხა ხმ. ა. ს. ბაბოვის განცხადება იმის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საქმე გაწეს-რიგებულ იქმნასო.

საბჭომ ამ საგნის განხილვა შემდეგისათვის გადასდო.

წაკითხულ იქმნა ხმ. თავ. ნ. ზ. თუმანოვის განცხადება ავლაბარში ცეცხლის საქრობის რაზმის განყოფილების დაარსების შესახებ და გამგეობის ამის შესახებ მოხსენება.

ეს განცხადება ხმ. თუმანოვს 1894 წლის 22 ნოემბერს გადაუცია გამგეობისათვის და გამგეობამ მხოლოდ ეხლა წარმოადგინა განსახილველად. გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ განყოფილების დაარსებას სულ 3,000 მანეთზედ ნაკლები დასჭირდება, მაგრამ გამგეობამ და საფინანსო კომისიამ არ შეიწყნარა ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ავლაბარში სახლებს ცეცხლი ძალიან იშვიათად ეკიდებაო. 10 წლის განმავლობაში სულ 76-ჯერ გაჩნდა ცეცხლი ავლაბარშიო.

ხმ. თავ. ნ. ზ. თუმანოვი. ავლაბრის მცხოვრებელთა რიცხვი ტფილისის მცხოვრებელთა საერთო რიცხვის 1/4 შეადგენს. ავლაბარი დაშორებულია იმ ადგილიდგან, სადაც ცეცხლის საქრობი რაზმია გამართული. გარდა ამისა, ავლაბრის ზოგიერთ ნაწილებს ცუდი და ძნელად მისადგომი გზები აქვს. უკანასკნელ დროს ავლაბარში მრავალი ახალი სახლი აშენდა და შენდება. ყველა ამის გამო საჭიროა იქ ცეცხლის მქრობი რაზმის განყოფილება დაარსდეს. გამგეობა ამბობს, რომ ავლაბარში ცეცხლი სახლებს იშვიათად უჩნდება, ამიტომ საჭირო არ არის განყოფილება დავაარსოთო. ეს აზრი მეტად უცნაურია, აქამდის თუ ცეცხლი ავლაბარში იშვიათი იყო, ეგ ხომ იმას არ ამტკიცებს, რომ ამის შემდეგაც არ იქმნება ცეცხლი. სულ განყოფილების დაარსებას მოუნდება ერთხანად 1,000 მან. და ყოველ წლივ 800 მან. გამგეობას მეტი გამოუანგარიშნია.

ხმ. ალიბეგოვი. განყოფილების დაარსება საჭირო არ არის. მე ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების თავმჯდომარე ვარ და ცნობები ხელთა მაქვს, რომ ავლაბრელები ცოტანი აზღვევენ სახლებს საზოგადოებაში. ავლაბარს სულ 55 ათასი მანეთისა აქვს დაზღვეული, მაშინ როდესაც ტფილისის სხვა ნაწილებს ერთად 8 მილიონის. გარდა ამისა, ცეცხლის საქრობი რაზმი ბევრს არაფერს აკეთებს ხოლმე. უმეტეს ნაწილად გაჩენილს ცეცხლს შინაურის საშუალებით აქრობენ.

ხმ. მ. ი. თამამშევი. ცეცხლის გაქრობის საქმე ჩვენ კარგად არა გვაქვს მოწყობილი. 30 წელიწადია არაფერი გაგვიკეთებია-რა. საჭირო ცეცხლის საქრობი რაზმები, მარტო ავლაბარში-კი არა, სხვაგანაც დაარსდეს. ამიტომ კომისია ავირჩიოთ და იმას მივანდოთ მაგ საქმის გამორკვევა.

ხმ. თავ. ბ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. დამზღვევი საზოგადოების თავმჯდომარემა სთქვა, რომ ავლაბრელები სახლებს არ აზღვევენ, ამიტომ საჭირო არ არის იქ განყოფილება დავაარსოთო. მე-კი ვფიქრობ, რომ სწორედ ამიტომ უფრო უნდა დავაარსოთ ცეცხლის საქრობი რაზმი. სხვაგან სახლები დაზღვეულია და რომ დაიწვს, სახლის პატრონი ფულს მიიღებს, ხოლო ავლაბარში სახლის პატრონი დიდად დაზარალდება. ჩემის აზრით, ქალაქთან ერთად დამზღვევმა საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს, რომ ავლაბარში ცეცხლის საქრობი რაზმი იქმნას დაარსებული.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ხშირად ამბობენ, რომ ხმოსნები ბევრს ლაპარაკობენ, დროსა ჰკარგავენო და იმასკი ყურადღებას არ აქცევენ, გამგეობა როგორ იქცევა. 1894 წელს შეტანილი აზრი გამგეობამ მხოლოდ ეხლა წარუდგინა საბჭოს. გამგეობამ თავი არც-კი აიტკივა, რომ ცნობები შეეკრიბნა. ამბობს, რომ ცეცხლი ავლაბარში იშვიათად ჩნდებაო. ვინ იცის, იქნება ქალაქის სხვა ნაწილებში უფრო იშვიათია ცეცხლი. ხმ.

---

და არ იქნა, არ გამოგვიჩნდნენ ერთი იგეთი ჰკვა-მადლიანი კაცები, რო ღვთისნიერი რჩევა-დარიგებით მეეშველვინებინათ ხალხისათვის დღეობისა და სხვა ყველა დამღუპავი ცუდ-უბრალო ხარჯები და ბორჯები. აი ე საცოდავი კაციც კი დღეობამ დაღუპა და ცეცხლზე წყალი დაუსხა ამის დაობლებულ საბრალო ცოლ-შვილს! გულ-სევდიანად ბუტბუტებდა ამ სიტყვებს შუა-ღამისას ყარაჩის ჯაგნარიან მინდვრის, პირ-გაბადრულ მთვარის ნათლით გაკაშკაშებულ შარა-გზაზედ მოხუცი მეურმე, რომელსაც ულელი კამეჩი ება ურემში და ზედ მიცვალებული სოსია ესვენა.

დილა-ბნელზედ, როდესაც სამარადჟამოდ დაძინებული სოსია თავის სამშობლო სოფელს მ—ნს უახლოვდებოდა, სწორედ ამ დროს სოსიას ცოლი მარიამი კერის ძირას იჯდა და გულ-საკლავად სტიროდა მდუღარე ცრემლების ღვრით. მარიამის ტირილის მიზეზი შემდეგი იყო: განთიადისას საზარელი სიზმარი ნახა: თავის ქმარი სოსია სადღაც უდაბურ ტრიალ მინდორზედ ესვენა წითელის კუბოთი და სვავ-ყვავ-ყორანნი თვალებს სჩიჩქნიდნენ მიცვალებულს. ამ შემზარავმა და გულის სიღრმემდის შემაძრწუნებელმა სიზმარმა მით უფრო თავს ზარი დასცა მარიამს, რომ სოსიას ავადმყოფობა გაიგო რამდენისამე დღის წინედ. ოხ, მაღალო ღმერთო! რა გულ დამდაგად მოსთქვამდა მარიამი შემდეგს:

— პირი ღვთისამც გრისხავდეს ჩემო თავზარის თამცემო სიზმაროოო!.. ნეტავი ვიცოდე, როგორ ხარ ეხლა, შენი ჭირიმე, სოსიკოოო!.. იქნება გშიან და გწყურიან ავადმყოფს და წყლის მომწვდელიც არავინა გყააავ!.. იქნება ცარიელ მიწაზედაც ჰწევხარ და ზედაც არავინ გიყურეეებს!.. მე ხო თავს აღარ ვიცოცხლებ, შენ რო მოგივიდეს რამეეე!.. მე ხო საკირის ცეცხლში ჩავვარდები და დავიწვები, გენაცვალე, სოსიკოოო!.. მე ხო მაშინვე თავს მოვიკლავ და უკან დაგედევნები ჩემს პირველა გვირგვინის საყვარელ ქმააარს!.. ჩემს მოსიყვარულე ბატონ-პატრონს და ცხრა შვილის მამააას!.. ცოლ-შვილისათვინ თავ-დადებულს და წამებულს ჩემს იმედ-ნუგეეეშს!.. შენი გზისაკენ თვალები მწყდება: აი ან ეხლა მოვა ან ეხლა მეთქიიი!.. ბალღებიც სუ შენს კითხვაში არიან: მამა ლოდის მოვა, ქაო, და ვაი ჩემს თავს, ეს რა საზარელი სიზმარი ვნახე მე თვალებ-დასაყენებელმააა!.. უი, უი, უწინამც დღე გამიქრეს, ჩამქოლეთ და ჩამაქვავეთ, ხალხო, მინამ ჩემს სოსიას მკვდარსა ვნახავდეეე!.. შენი ავადმყოფი ჯანის ჭირიმე, სოსიკო, შენ რო მოგივიდეს რამე, დაობლებულ ცოლშვილს რაღა პასუხს გვაძლევ და ვის გვაბარეეებ!.. განა შენ კი არ იცი, რო ქვეყანა უწყალო-შეუბრალებელია და თუნდა შიმშილით ამოვწყდეთ ოთხნივ დედაშვილნი, მიწასაც არ მოგვაყრიან გულზეეე!.. იმ შავს მიწასაც-კი დაიშურებენ ჩვენთვინ უცოდო-მადლო ადამიანებიიი!.. ისე გულ-დამდაგად მოსთქვამდა მარიამი ცხარე ცრემლების ღვრით ამას და მრავალს კიდევ სხვა გულ-საკლავ სიტყვებს, რომ მისის ცოდვით ქვაც-კი სკდებოდა და ცრემლთა ნაგუბრად იღვრებოდა.

— ლა გატილებს, ქა? ლათა სტილი, დედილო! ქალილო!.. ამ სიტყვებით მიეხვივნენ დედა მარიამს ტირილ-მოთქმაზედ გამოღვიძებული შიშველ-ტიტველა ბალღები, გულ-საკლავად სტიროდნენ ისინიც დედასთან ერთად და ბჭყვრიალა მარგალიტებს აბნევდნენ ლამაზ-თვალთაგან ღაპა-ღუპით.

აგერ, ცა-ქვეყნის მანათობელმა მზე-სხივოსანმა ყური ამოჰყო, ამოაჭყიტა მ—ნის მთიდგან და მისი ცხოველ-მყოფელი სხივები ამომტვერებულ ოქროს ბუქივით ამოლაპლაპდნენ იალ-ციალით სარკესავით მოკამკამებულ-გალიჟისფერებულს ცაში. დიდრონს მცენარე-ბაღებში ჩანთქმულ სოფლის ფრინველნი საამურად აჟივილ-ხივილდნენ მზის ამოსვლით გახარებულნი, და მარიამი და მისი ბალღები-კი ისევ გულ-საკლავად სტიროდნენ სისხლის ცრემლით აქვითინებულნი. ამ დროს სოსიას ქოხის ეზო-დერეფანში ღრიჭიალით შევიდა ურემი, რომელზედაც მიცვალებული სოსია ესვენა ჩალა-ბულაში წახვეული, და ურმის უკანა ქალზედ მერცხალა ვირი იყო საბლით გამობმული.

სოსიას დამარხვის დღიდგანვე მარიამი ლოგინად ჩავარდა, ენით-გამოუთქმელი მწუხარებით მთლად დადუნდა, დადამბლავდა, გონება შეერყა და მალე ენაც ჩაჰვარდა. ენა-დაბმულმა მარიამმა არავითარი წამალი და სასმელ-საჭმელი არ მიიკარა. მომაკვდავი მარიამი გაყინულ ჭირის ოფლში იწურებოდა, მწარედ ჰგმინავდა, ოხრავდა, ჰკვნესოდა, ჩამქრალ-უსიცოცხლო თვალებიდგან ცრემლები ჩამოსდიოდა და რაღაც უცნაურად ლუღლუღებდა ხელების სავსავით. სამის კვირის განმავლობაში განუტევა მრავალ ტანჯული სული და დაეხწია ამქვეყნიურს ჯოჯოხეთს. დაასაფლავეს მარიამიც რის გაჭირვებით და მისი პატარა ობლები დაწვრილშვილებულმა დებმა წაიყვანეს სამადლოდ, თუმცა ისინიც ისეთნი ღარიბნი იყვნენ, რომ ხშირად შინ კატა უკნავოდათ შიმშილით და გარეთ ძაღლი უღმუოდათ უჭმელობით.

დ. მაჩხანელი

თაიროვმა სთქვა, რომ ავლაბარში სახლები შორი-შორს არისო, ეზოები დიდი აქვთო და ცეცხლის შიში არ არისო. არ ვიცი, ბ-ნი თაიროვი ყოფილა ავლაბარში თუ არა, მე-კი ვყოფილვარ და ვიტყვი, რომ ავლაბარში სახლები ძალიან ახლო-ახლოა, ბევრი სახლია ხისა და ცეცხლის შიში იქ უფრო არის, ვიდრე სხვაგან სადმე. ჩემის აზრით, გამგეობამ უნდა შეჰკრიბოს ცნობები მაგ საგნის შესახებ და წარმოგვიდგინოს.

ხმ. იოანნესიანი. ამბობენ, რომ ავლაბრელებს არა აქვთ სახლები დაზღვეული დამზღვევ საზოგადოებაშიო, მაგრამ შეიძლება სხვა საზოგადოებაში ჰქონდეთ დაზღვეული. ამ შემთხვევაში თვით დამზღვევი საზოგადოება დამნაშავეა, კარგად ვერა აქვს მოწყობილი საქმე. (მიჰმართავს ალიხეგოვს, საზოგადოების თავმჯდომარეს) ბოდიშს ვიხდი, ბ-ნო თავმჯდომარევ!

ხმ. ოშორინინი. ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში მარტო ავლაბარს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება. საჭიროა სხვაგანაც დაარსდეს ცეცხლის საქრობი რაზმები. ამიტომ კომისია ამოვირჩიოთ ამ საგნის გამოსარკვევად.

თავმჯდომარე. რადგან აგრეა, მე ვთხოვ ხმოსნებს მარტო კომისიის შესახებ ილაპარაკონ.

ხმ. ბაბოვი ა. ს. კომისიაში გადაცემა საქმისა ამ საქმის დამარხვასა ჰნიშნავს. იოანნესიანმა სთქვა, რომ გამგეობამ უნდა შეჰკრიბოს ცნობებიო...

თავმჯდომარე (გააწყვეტინებს). მე გთხოვთ კომისიის შესახებ ილაპარაკოთ.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. გამგეობამ უნდა შეჰკრიბოს...

თავმჯდომარე. თუ კომისიის შესახებ არ ილაპარაკებთ, სიტყვას წაგართმევთ.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. რატომ სხვებს არ წაართმევთ ხოლმე სიტყვას?

თავმჯდომარე. მე გთხოვთ თავმჯდომარეს ნუ ეკამათებით!

ხმ. ბაბოვი. მე-კი გთხოვთ მომისმინოთ, რის თქმაც მინდა. იოანნესიანი და ქოჩორიანცი ამბობენ, რომ საშუალო...

თავმჯდომარე. გთხოვთ კომისიის შესახებ ილაპარაკოთ.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა ამოირჩიოს კომისია და იმას მიანდოს ტფილისში ცეცხლის ჩაქრობის გაფართოებისა და შემუშავების საქმე.

კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ. თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, მ. ი. თამამშევი, ი. ა. თაიროვი, პ. ი. ალიხეგოვი, გ. ა. ქოჩორიანცი, ა. ს. ბაბოვი, თავ. ნ. ზ. თუმანოვი და თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკი.

შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ მ. ი. თამამშევმა თავი დაანება კომისიის წევრობასა და თავმჯდომარეობას და იმის ნაცვლად სხვა უნდა ავირჩიოთო. საბჭომ კომისიის წევრთა ამორჩევა შემდეგის კრებისათვის გადასდო.

დასასრულ საბჭომ მოისმინა თხოვნები მიხაილოვისა—„კრუტოი“ ვიწრო ქუჩის ქვეშ კედლის გაკეთების შესახებ, სტრელნიკოვისა—დარჩენილის გარდასახადის გაუქმების შესახებ, პოპლავსკისა—დარჩენილის გარდასახადის დაბრუნების შესახებ, სიმონ კვიკვიძესი—ქალაქის მიწის მისყიდვის შესახებ, კოროლევსკისა—ჯარიმის გაუქმების შესახებ და ამირბეგოვისა და ხარაზოვისა, რომელთაც სატივოზედ დუქნები აქვთ, ამ დუქნების ქირის პატიების შესახებ.

საბჭომ მხოლოდ ამირბეგოვისა და ხარაზოვის თხოვნა შეიწყნარა. დანარჩენთ უარი განუცხადა.

კრება $11^1/_2$ საათზედ გათავდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. გურფული** (სამეგრელო), 16 თებერვალი. სოფ. გურფული სძევს დ. ხობიდგან სამის ვერსის მანძილზე. ადგილ-მდებარეობით ცოტა არ იყოს ჭაობიანია, მაგრამ მოსავალი კი დიდი იცის. აქაური ნიადაგი მხვნელ-მთესველს უხვად აჯილდოებს. ნიადაგი უხვს მოსავალს მაშინ იძლევა უფრო, როდესაც ცოტა გვალვები სდგას ხოლმე. იშვიათად შეხვდებით აქაურს ისეთს კაცს, რომ სარჩოს გარდა არა ჰყიდდეს ორას ფუთამდის სიმინდსა. ამიტომ აქაური „ფუხარა“ გვარიანად იდგა წელში, მაგრამ ეს სამი თუ ოთხი წელიწადია, რაც ეკონომიურად დიდად დაქვეითდა. რა თქმა უნდა, ამისი უმთავრესი მიზეზი სიმინდის ფასის დაწევაა, რომელიც თუ არა ჰკლებულობს, მომატებით სრულიად არ ემატება. აბა რა ბარაქას დაპყრის მხვნელ-მთესველს ხუთ შაურად ფუთის სიმინდის გაყიდვა? ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ახალ სენაკში ჩაიტანოს სიმინდი, სადაც ფუთში შაურს მაინც მეტს მისცემენ, ვიდრე ადგილობრივ. მდინარე ხობის წყალი აქვთ გასავლელი და აქ ხომ ხიდი ეს რამდენიმე თვეა გაფუჭებულია და, დატვირთულის ურმებით გასვლა კი არა, ცარიელის ურმის გასვლაც ერთობ საძნელოა, რადგანაც დალპობილ მებორნეს ისეთი ნიხრი დაუწესებია, რომ ვგონებთ უფრო იაფად ზღვაშიაც გავიდეს კაცი. უხიდობით არამც თუ მარტო აქაურები არიან გაჭირვებულნი, არამედ დანარჩენი სოფლებიც ამ ტაფაში იხრაკებიან. სასურველია, რაიმე ღონე იქმნეს მიღებული ამ ხიდის შესაკეთებლად...

სწავლა-განათლებას თავისი სხივი აქაც შემოუშუქებია. ამის გამო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის კურს დამთავრებულის მთავარ დიაკვნის მამა ლავრენტი კალანდარიშვილისა მადლობელნი უნდა იყვნენ. მან წარსულ ოქტომბრის თვეში აქ გაჰმართა საეკლესიო-სამრევლო სკოლა და მცირე ხნის განმავლობაში ისე შეუსწავლებია ბავშვებისთვის წერა-კითხვა, რომ საკვირველია სწორედ. უფრო იმან მასიამოვნა, რომ ამ სამრევლო სასწავლებლის მოსწავლეთა სოროო ეკლესიაში წირვის დროს ქართულ-რუსულად ჰგალობდა. მ. ლავ. კალანდარიშვილი სწავლის ფულს არც ერთისაგან. არ იღებს და ისე უსასყიდლოდ ეწევა მასწავლებლობის მძიმე უღელს. არამც-თუ სწავლის ფულს არ იღებს, არამედ მოსწავლეთათვის სტოლები თავის ფულით უყიდნია; დღეს ამ სკოლაში სწავლობს 60-მდე მოსწავლე. სამწუხაროდ აღვნიშნავ იმ გარემოებას რომ, როგორც მ. ლ. კალან—შვილმა, შემომჩივლა, თითქმის ოცამდის გაჭირვებული და ობოლია, რომლებსაც ანბანს ქაღალდზედ ვუწერ და ისე ვასწავლიო. საღსარი არა აქვთ წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები იყიდონ... კარგი იქნებოდა, ვინმე მადლიანი, რამდენსამე ცალს პირველ დაწყებით წიგნავს „კოკორს“ მიაწვდიდეს მასწავლებელს ობლების დასარიგებლად...

ტელეფონი

## დამაკვირდი

საგანი მოზარდთა აღზრდისა აწინდელის საზოგადოებისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საგანია, რომლის გარდაწყვეტისაგანაც მისი მერმისია დამოკიდებული.

რენანი

* * *

ვისაც ნათლად უნდა შეგნება, იგი ჯერ საფუძვლიანს ეჭვში უნდა იყოს.

არისტოტელი

* * *

ვისაც ნაკლები ცოდნა აქვს, იმას ეჭვიც ნაკლები მოუშლება და მით უფრო ნაკლებადა ჰგრძნობს გამოკვლევების საჭიროებას.

ტურგო

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ველოსიპედით სიარული თანდათან ისე ვრცელდება, რომ მკურნალებმა ყურადღება მიაქციეს იმ საქმეს, თუ რამდენად სასარგებლოა ან მავნებელი ველოსიპედით სიარული. საფრანგეთის მკურნალმა პროფესორმა ლე-პტიმ პარიჟის სამკურნალო საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება და აღნიშნა ყველა გამოჩენილ მკურნალთა აზრი ველოსიპედის ხმარების შესახებ. პროფესორი ამტკიცებს, რომ ველოსიპედით სიარული (თუ ძლიერ ჩქარა არ ივლის კაცი) მავნებელი-კი არა, სასარგებლოც არისო ჯანმრთელ კაცისათვის. იგი სასარგებლოა აგრედვე სისხლ-ნაკლებ და მსუქან ადამიანისათვის. ხოლო აჩქარებით სიარული-კი მავნებელია. ჭლექიანისათვისაც, თუ ჯერ ძლიერ არა აქვს მორეული ეს სენი, ველოსიპედით სიარული სასარგებლო ყოფილა. ვისაც გული დაავადებული აქვს, იმისათვის-კი ველოსიპედი მავნებელია. დასასრულ პროფესორი სწერს, რომ ვისაც ველოსიპედით სიარული ჰსურს, მკურნალს უნდა დაეკითხოს. ბავშვებისათვის-კი ველოსიპედით სიარული მეტად მავნებელი ყოფილა, და ამიტომ მშობლებმა ნება არ უნდა მისცენ მცირე წლოვან შვილებს ველოსიპედით სიარულისა.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მგ)

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ „დიდი სჯულის წიგნი“, ხოლო აწ თანამდებ არს განვიხილოთ მცირე სჯულის წიგნიც (№ 96).

ჩვენ მოვიყვანეთ საბუთები (იხ. წერილი: მბ) იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი სჯულის წიგნი უგვიანეს XIII—XIV საუკუნისა არ უნდა იყოს გადაწერილიო. მაშინ ჩვენ ვერ მოვიხსენეთ ხვეულ ასო-მთავრულებით აღნიშნული ქორონიკონი, რომელიც უზის თვით დიდის სჯულის წიგნს (იხ. 617 გვ.). დრო-ჟამთა ბრუნვისა გამო ასოები, რომლებიც აღნიშნავს ქორონიკონს, იმოდენად მკრთალად მოსჩანს, რომ მნელადღა შეინიშნება შეუიარაღებელ თვალით. აი თვით ეს ქორონიკონიც: „ქ~ს ულზ“ (= 1217 წ.). ხელი დიდის სჯულის წიგნისა და აგრეთვე ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია იგი, სრულიად და სავსებით ჰგავს ხელსა და ქაღალდს „წინამძღვრისას“ (№ 65), რომელიც გადაწერილია 1210 წელს.

მცირე სჯულის წიგნი დაწერილია სქელს ტყავზედ მშვენიერის ნუსხურის ხელით და შეიცავს მეექვსე მსოფლიო კრების კანონებს და აგრეთვე იოანე მმარხველის კანონებს შეცოდებულთათვის.

სათაური წიგნისა:

წესი და განგებაჲ. და რჩულის. კანონი მეექუსისა კრებისაჲ, ას სამეოცდა რვათა. წმიდათა მამათაჲ. რომელნი შეკრბეს კონსტანტინე პოლეს. ახალსა ჰრომსა. კოსტანტინე ღუთის მსახურისა მეფისა-ზე. ძისწულისა ძისა ჰერაკლე მეფისა: იყვნეს წინამძღუარ კრებისა ამის აგათონ პაპაჲ ჰრომისაჲ: და გიორგი პატრიარქი კონსტანტინეპოლისაჲ: და თეოფანე ანტიოქისაჲ: და სხუანი ღმერთ შემოსილნი მამანი: .:. : .:.

მთარგმნელი წიგნისა (გვ. 196):

რომელნიცა ამას რჩულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოიკსენეთ გლახაკი ეფთვმე, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად: ამინ. (ეფთვიმე მთაწმინდელი † 1028 წ.).

გადამწერინებელი (გვ. 196):

ლოცვა ყავთ: მამისა: გრიგოლ: მთაწმიდელისა: რომელმან: ინება: აღწერაჲ: ამის: რჩულის: კანონისაჲ: სალოცველად: სულისა: მათისა: და: სულდიდებულთა: ბედნიერთა: მშობელთა: მათთა: ქრისტემან: დიდებულ: ყავნ: სული: მათი: სასუფეველსა: ცათასა: ამინ:

გადამწერი და გადაწერის ადგილი და დრო (361 გაბადონი):

დიდებაჲ შენდა რომელმან ალასრულე საქმე ესე კეთილი. დიდებაჲ შენდა აწ და უკუნისამდე. ამინ:. დაიწერა: რჩულის კანონი ესე: ქალაქსა ღუთივ დაცვულსა: კონსტანტინეპოლის: ახალსა: ჰრომსა: ნებითა: და: ბრძანებითა: ღმერთ შემოსილისა: წმიდისა. მამისა: ჩუენისა:: გრიგოლ:: მთაწმიდელისაჲთა:: კელითა: გლახაკისა: მწარედ: ცოდვილისა: ბასილი: ევსტრატი მალუშის: ძისაჲთა: შრომისათჳს ლოცვა ყავთ: და უცბად ჩხრეკისათვის შემინდვეთ: ერნო ღმერთ შემოსილნო:: დაიწერა წიგნი ესე: მონასტერსა ხორას:: მეფობა რომანოზისსა:: და ქრონიკონი იყო: სნა:. (= 1031 წ., ე. ი. მესამე წელი თვით ეფთვიმეს გარდაცვალებიდგან).

მოხსენებულნია (უკანასკნელი 362 გაბადონი):

ზოისი დედოფლისა საუკუნო იყავნ ხსენება.

კოსტანტინე მონომახისა... საუკუნო იყავნ კსენება.

უკორცოთა მიმსგავსებულისა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმე მთაწმიდელის, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელისა, საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მისი:

აღვნიშნავთ მეექვსე მსოფლიო კრების ზოგიერთ საყურადღებო დადგენილებას.

გვ. 42: წინანდელ კრებებს დაუდგენიათ და ჩვენც ვამტკიცებთ, რომ ყოველს საკათალიკოზოში „წლითი წლად იქმნებოდეს კრებაჲ ეპისკოპოსთაჲ, რათა გამოიძიებდნენ უკუეთუ რაჲ დაკლებული ს ა მ რ ე მ ლ ო თ ა (ასე სწერია სამრევლოს მაგიერ) მათ შინა იყოს. წინანდელ მამებს განუწესებიათ ესრეთი კრება ორგზის მოჰხდესო, ხოლო რადგან „რომელიმე საკათალიკოზოთა შინა ანუ შიში არს წარმართთაჲ ანუ სხუაჲ რაჲმე სიძნელე“, ამიტომ ჩვენ „განვაწესებთ, რათა ერთგზის უეჭველად იქმნებოდის კრებაჲ. წელიწადსა შინა. ეპისკოპოსთაჲ, სადაცა კათალიკოზმან განაწესოს ახუსებითგან (=აღვსებითგან) ოკდომბრამდის“.

გვ. 46. „ქვეყანასა აფრიკელისა და მათ კერძოთა ებისკოპოსნი შემდგომად ებისკოპოსად დადგენისა არა იჯმნიამ თჳსთა მეუღლეთა თანაყოფად და ამით ჯერითა დიდად დასაბრკოლებელად ერისა იქმნებიან. არა ჯერ არს მღდელ-მოძღურობისა წესსა შინა შვილისა დატეობაჲ“. ამიერიდგან „არა კელეწიფებოდესო ებისკოპოსსა მეუღლისა თანაყოფად“, ხოლო უკეთუ ვინმე შეურაცხყოს წესი ესე, „იგი ებისკოპოსობისაგან აღიკოცენ“.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 თებერვალი

**კონსტანტინეპოლი.** შუადღისას განიზრახეს ბოლგარიის საექსარხოსოს უფროსის მდივნის მარკ დროზოვის მოკვლა. ბოროტ-განმზრახველმა ჯერ ლაპარაკი დაუწყო მდივანს და შემდეგ რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა. მდივანს ორი ტყვია მოხვდა და მძიმედ დაიჭრა. რადგანაც მდივანი საექსარხოსოს გაზეთის „ნოვინი“-ს მთავარი რედაქტორია, ჰფიქრობენ, რომ ეს ამბავი საპოლიტიკო შურის ძიებამ გამოიწვიაო.

**ვენა.** ძველის სამინისტროს წევრთაგანი ახალს სამისტროში მოჰყვებიან უთუოდ მხოლოდ გზათა მინისტრი და ქვეყნის დაცვის მინისტრი. ახალს მინისტრ-პრეზიდენტს აზრადა აქვთ მინისტრობა მემარჯვენეთა რამდენსამე წევრს ჩააბაროს.

**რომი.** დღეს დეპუტატს მაროლისა და კავალოტის შორის დუელი იყო. კავალოტი იქვე მოკლულ იქნა.

24 თებერვალი.

**ვენა.** „Neue Freie Presse“ სწერს, რომ მლადოჩეხი კაიცლი ახალ კაბინეტში ფინანსთა მინისტრის ადგილს დაიჭერსო.

**იოკაჰამა.** კორეის კაბინეტში ცვლილება იქმნება შემოღებული, სახელდობრ, გარეშე საქმეთა მინისტრად სხვა კაცი იქმნება დანიშნული.

**ბერლინი.** ხელ-მოწერილ იქმნა ის ხელ შეკრულობა, რომლითაც გერმანიას მცირე რამ დაეთმო ეკონომიის მხრივ ჩინეთთან მოლაპარაკების შემდეგ.

## განცხადებანი


!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

**გ. ფ იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ადმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივენკოთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—8)